1758 №16205 F 247/3 №14767

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 2 დეკემბერი 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდი 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 49 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბალშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 49

# ზავზე მოლაპარაკება უკვე დაიწყო

## გაუმარჯოს ზავს. გაუმარჯოს რევოლიუციას.

## გაუმარჯოს საბჭოების რევოლიუციონურ მთავრობას.

მუშებო, სალდათებო, გლეხებო, მედგრათ დაუჭირეთ მხარი მუშების და გლეხების მთავრობას!

## ქუთაისის გუბერნიაში

მომქმედ ორგანიზაციების და ჯგუფების საყურადღებოთ, ქუთაისის რ. ს. დ. მ. პ. (მეუმრავლესეთა) კომიტეტი აცხადებს, რომ ყოველივე მიწერ-მოწერა და ორგანიზაციების მუშაობის შეკავშირება-შეთანხმება ევალება ამხ. ვას. კანდელაკს. მისამართი მისი (Кутаисъ. Госпитальная № 26).

## სტიქია და შეგნება

პროვოკაციის მიერ დახლართული ქსელი მით არის საშიში, რომ ის სამოქმედოთ იწვევს სტიქიურ მოქმედებას, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევს საზოგადოებრივ და ორგანიზაციულ ნორმებს და ნიაღვარივით წალეკავს, რაც წინ დახვდება. მას შეუძლია ერთ დღეს გაანადგუროს წლებით ნაშენი. მაშინაც კი, როცა სტიქია ობიექტიურათ მიისწრაფვის ძველი დახავსებული წესების წინააღმდეგ, მისი შედეგი მეტათ საეჭვო, პრობლემატურია, თუ რღვევის დროს მან ადგილი არ დაუთმო შეგნებულ, ორგანიზაციულათ შეკავშირებულ, წინასწარ გაშუქებული მიზნით შედუღებულ მოქმედებას,

შეგნება მუდმივ ურთიერთობაში იმყოფება სტიქიასთან იმ აზრით, რომ ის ცდილობს გავლენა მოახდინოს მასზე და სასურველ კალაპოტში მიმართოს მისი მიმდინარეობა. შეგნება ემყარება სტიქიას, მაგრამ ქედს არ იხრის მის წინაშე, ის მას ებრძვის და მით ასუსტებს სტიქიის არა სასურველ შედეგებს. რამდენათ ერევა და იმორჩილებს შეგნება სტიქიას, იმდენათ უფრო ძლიერი და ნაყოფის მომტანია ერთიც და მეორეც.

პროვოკაცია მხოლოთ იყენებს სტიქიას თავის სასარგებლოთ. ის ფეხქვეშ ეგება და აღიზიანებს მას, გზას უწმენდავს და აძლიერებს მის დამღუპველ მოქმედების შედეგებს. რაც უფრო ნაკლები გავლენა აქვს შეგნებას სტიქიაზე, მით უკეთესია პროვოკაციისთვის, რადგან მას აინტერესებს ნგრევა და არა შენება,

სტიქია აუცილებელი ელემენტია სახალხო მოძრაობისა, მასში თავს იყრის ჯერ კიდევ შეუცნობელი ძალა, რომელიც თანდათან შლის ფრთებს და წალეკავს უქადის, რაც წინ აღუდგება. ძველ წყობილებას ძლიერ ეშინია მისი, მაგრამ როცა ის უკვე გამოდის სცენაზე და მისი მოსპობა შეუძლებელი ხდება, ძველის მოტრფიალე მეტოქეთ უხდება შეგნებულ ელემენტებს და ცდილობს ის თავის სასარგებლოთ გამოიყენოს, შეგნება და პროვოკაცია ერთმანეთს ეცილებიან სტიქიის თავისკენ მისამხრობათ. თუ აღარ დაბრუნდება ძველი, დეე ნუ გაიმარჯვებს ახალიც— აი რით ხელმძღვანელობს პროვოკაცია და თავის მიზნის მისაღწევათ იმავე სტიქიას ემყარება, რომელიც ხალხის ძალას და ენერგიას წარმოადგენს, არა კმარა ძველის დანგრევა, საჭიროა ახალის შენება —და ამ საქმეში რაც შეიძლება ნაკლებათ უნდა მუშაობდეს სტიქია და რაც შეიძლება მეტათ უნდა მოქმედებდეს შეგნება. საით წავა სტიქია—შეგნებას დაემორჩილება იგი, თუ პროვოკაციას აყვება—ამაზეა დამოკიდებული მთელი მოძრაობის ბედ-იღბალი.

ჩვენ თფილისში უკვე განვიცდით პროვოკაციის შედეგებს, რომელიც ჯერ გაუქმებულათ არ შეიძლება რომ ჩაითვალოს. მან მოინდომა ხალხის ძალა-ენერგიის იქით მიმართვა, რაც პირდაპირ დამღუპველია თვით ხალხისთვის. მან მოინდომა მუშის და სალდათის დაპირდაპირება და ამ ორი ძალის ერთმანეთთან შეტაკებით გასრესა. ორივეს მათ საერთო მტერი ყავთ და მის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული მათი შეერთებული ძალა. პროვოკაციამ კი საერთო მტერის ნაცვლათ ერთმანეთს შეაჯახა ისინი და მით უდიდესი ხიფათი მოუმზადა მთელ რევოლიუციონურ მოძრაობას.

ყველა ელოდა, რომ სტიქია თავს დაატყდება შეგნებას და თავის გამანადგურებელი მოქმედებით მთელი თფილისის მცხოვრებთ შეაძრწუნებდა. მაგრამ ეს არ მოხდა. სალდათმა არ აიღო მუშის ხელით გადასროლილი ხელთათმანი, მიხვდა, რომ აქ მუშა არაფერ შუაშია და ამიტომ თავის ენერგიას ნება არ მისცა თავის მოძმის წინააღმდეგ გადმონთხეულიყო. სალდათმა მეტის მეტი პოლიტიკური სიმწიფე გამოიჩინა და ამ ხანათ მაინც ბრწყინვალეთ გაიმარჯვა პროვოკაციაზე.

გვაგონდება რევოლიუციის პირველი თვეები, როდესაც პროვოკაცია მხნეთ მუშაობდა, რომ სალდათი მუშისთვის წაეკიდებია. ამ პროვოკაციას სათავეში გუჩკოვი ედგა. მის წინააღმდეგ გაილაშქრა მთელმა დემოკრატიამ და სალდათი არ წამოეგო პროვოკაციის დადებულ ანკესს. ახლა პროვოკაციამ მუშა წამოიყვანა სალდათის წინააღმდეგ და ამ სამარცხვინო საქმეს თვით დემოკრატიის ნაწილი ჩაუდგა სათავეში. სალდათმა მაინც არ უღალატა თავის რევოლიუციონურ ვალს და თავის წმინდა დროშას ერთგულათ შერჩა. აქ უფრო სახიფათო იყო მდგომარეობა და რაკი სალდათი მასაც თავი აღწევს, სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ამ 9 თვის განმავლობაში სალდათი—მოქალაქე, სალდათი რევოლიუციონერი გაზრდილა პოლიტიკურათ მომწიფებულია.

მეორე მხრით, მუშაშიაც გაიღვიძა უტყუარმა კლასობრივმა ალღომ და ზედ-მიწევნით სისწორით შეაფასებინა პროვოკაციის მიერ შექმნილი მდგომარეობა. მთავარ სახელოსნოების მუშათა მიტინგზე ერთხმათ გამოტანილი რეზოლიუცია ამისი უტყუარი მოწამეა: „ჩვენ მოვითხოვთ თქვენგან (აღმასრულებელი კომიტეტიდან) დაუყოვნებლივ მოახდინოთ განკარგულება ძმათა შორის ატეხილ სისხლის ღვრის შესაჩერებლათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი სახელოსნოს მუშები ერთხმათ ვადგენთ —შეწყვეტილ იქნას ყოველგვარი მუშაობა და მოძრაობა რკინის გზაზე".

აშკარაა, პროვოკაცია უნიადაგო ადგილზე მოხდა და მან, ამ ხანათ მაინც ბრძოლა წააგო. მაგრამ ის არ დაყრის ფარხმალს და სხვა გზით ეცდება წამხდარი საქმე გამოაკეთოს. ამის თავიდან ასაცილებლათ მუშამ და სალდათმა დაწყებული საქმე უნდა მხნეთ განაგრძონ, ყოველგვარი უთანხმოება საერთო ძალღონით გამოარკვიონ, თავის ურთიერთობაში მშრომელთა საერთო ინტერესით იხელმძღვანელონ და ერთმანეთ შორის ძმური კავშირი განამტკიცონ. პროვოკაციას უნდა დაუპირდაპირდეს რაც შეიძლება მეტი შეგნება, რომლის ხელმძღვანელობით მუშის და სალდათის სტიქია არა მარტო შეუბრალებლათ წალეკს ძველ წყობილებას, არამედ საუცხოვო მკვიდრ შენობას ააგებს საუკეთესო მომავლისას.

## 29—30 ნოემბრის დღეები თფილისში.

ეს შავ-ბნელი სამარცხვინო დღეებია თფილისის ცხოვრებაში. მთელი პასუხისმგებლობა ამაში მიუძღვით თბილისელ მენშევიკებს, იმათ უპასუხისმგებლო ლიდერებს, ჟორდანიას, რამიშვილს, ჯიბლაძეს, გეგეჭკორს და სხვებს, თფილისელ სოციალისტ-რევოლიუციონერებთან და დაშნაკელებთან ერთათ.

29—30 ნოემბრის დღეები თფილისში გვაგონებენ რამდენიმეთ 3—5 ივლისის დღეებს პეტროგრადში, მაგრამ იმათ შორის დიდი განსხვავებაც არის.

რა მოხდა, რაშია საქმე?

თფილისელ მენშევიკებმა ესერების და დაშნაკელების დახმარებით მოაწყვეს საზიზღარი პროვოკაცია. რამდენიმე დღის წინეთ შეუდგნენ ისინი ამისთვის ნიადაგის მზადებას. როგორც 3—5 ივლისის დღეების წინ კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიამ პეტროგრადში კადეტების მეთაურობით და მენშევიკების და ესერების დახმარებით და შემწეობით, გამოიწვია პროლეტარიატის და რევოლიუციონური ჯარის გამოსვლა და შემდეგი იმათი ხოცვა-ჟლეტა, ბალშევიკურ რედაქციების აკლება, ბალშევიკ მუშების და ჯარისკაცების ჭერა და სხვ. და სხვ., სწორეთ ისე ადგილობრივმა მენშევიკებმა თუ კრებებზე, თუ მოწოდების და პრესის საშუალებით ხალხს ჩააგონეს, რომ ბალშევიკები თფილისში ახდენენ გამოსვლას და სამოქალაქო ომის გაჩაღებას, ვინაიდან მათ სისხლი სწყურიათო. გარგათ იცოდენ, რომ არაფერი ამის მსგავსი არ იყო; მაგრამ ასეთი პროვოკაცია მათ სჭიროდათ თავისი შერყეული ნდობის აღსადგენათ ხალხში

ერთი მხრით, და ბოლშევიკების გავლენის საოცარი ზრდის შესაჩერებლათ მეორე მხრით. ამ მიზნის მისაღწევათ ისინი არავითარ საშუალებას აღარ დაერიდნენ. სრულებით უმიზეზოთ, რეაქციონერების და კონტრ-რევოლიუციონერების გასახარებლათ იმათ გამოაცხადეს თფილისში სამხედრო წესები, მყისვე მოუყარეს თავი საქვო პირებს, მაზრის და ქალაქის მილიციონერებს, რომლებიც ძველ პოლიციელებს არაფრით არ ჩამორჩებიან, აურიეს იმათში რამდენიმე დაბრმავებული მუშები და მოწაფეები და ყველა ესენი მონათლეს „წითელი გვარდიის“ სახელით. ამ ბრბოს მიანიჭეს მოქალაქეთა პერი'ს უფლება და ყოველ გვარი ძალმომ რეობის ჩადენა. რა თქმა უნდა, ასეთი ბრბო საკმარისი არ იყო თავის განზრახვის სისრულეში მოსაყვანათ, იმათ ესაჭიროებათ ადგილობრივი გარნიზონის ფიზიკური ძალა.

მაგრამ მენშევიკებმა კარგათ იცოდენ, რომ თფილისის გარნიზონის დიდი უმეტესობის თანაგრძნობა იმათ მხარეზე არ იყო. გარნიზონის რამდენიმე ნაწილის მისამხრობლათ, ამათ პროვოკაციულ ზომებს მიმართეს: დატყუილებით და ცილისწამებით გადაიბირეს თავისკენ კონტრ-რევოლიუციონერი აფიცრების დახმარებით მთელი სომხური პოლკი და ნაწილი ქართული პოლკისა. ყველა ეს ძალები ფეხზე დააყენეს; სასახლე გადააქციეს ციხეთ, რომლის გარშემო დადგეს ზარბაზნები, ამასთანავე თითქმის ქალაქის ყველა ავტომობილები ხელში ჩაიგდეს. ავტომობილებზე შეიარაღებულმა პირებმა მორთეს თარეში მთელ ქალაქში, დააყენეს ყოველგან პატრულები. ყველა ამით გამოიწვიეს ხალხში საშინელი პანიკა: მაღაზიები დაკეტვინეს, სკოლებში სწავლა შეაწყვეტინეს და შეეცადენ ნორჩი ბავშვებისთვის ჩაეგონებიათ, რომ ბოლშევიკებს თქვენი ამოწყვეტა სურთო.

ასე ემზადებოდენ თფილისელი მენშევიკები ბოლშევიკების გამოსვლისათვის. მაგრამ ბოლშევიკები სრულებით არ ფიქრობენ ასეთ გამოსვლას. პირიქით, მთელი ჩვენი ძალა და ენერგია იმას შევანდომეთ, რომ მენშევიკების პროვოკაციისათვის ფარდა აგვეხადა და ჩვენი ამხანაგები და თანამგრძნობი ელემენტები პროვოკაციის მსხვერპლი არ გამხდარიყვენ. და მართლაც ეს ჩვენ შევსძელით. მიუხედავათ იმისა, რომ თფილისის გარნიზონის უდიდესი ნაწილი ჩვენ მხარეზეა და პირველ ჩვენ მოწოდებაზე მზათაა ეს თავისი მოქმედებით დაამტკიცოს, ჩვენ არ მივმართეთ ჯარს თავის დასაცვათაც კი იმ დროს, როცა მენშევიკებმა ესერებთან ერთათ ჩვენზე იერიში მოიტანეს ჩვენი ამხანაგების შეურაცყოფით და დატყვევებით. და ეს იმიტომ, რომ ჩვენ არ გვსურს სისხლის ღვრის მოხდენა, ვინაიდან ჩვენი მიზნის განსახორციელებლათ დღეს ეს სისხლის ღვრა უაზრო იქნებოდა.

მენშევიკები ალბათ არ მოელოდენ, რომ ჩვენ არ ავყვებოდით ამათ პროვოკაციას და ასეთ ენერგიულ ზომებს მივიღებდით სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებლათ, რომელსაც ისინი ჩვენ თავზე გვახვევდენ. ისინი მოტყუილებული დარჩენ. მაშ რისთვის იყო საჭირო ამოდენა ხმაურობა, თოფ-ზარბაზნების ღჟარუნი და სხვ. ამიტომ რომ გაემართლებიათ საზოგადოების თვალში მთელი ეს აურზაური, მენშევიკებმა კიდევ ერთ უდიდეს პროვოკაციას მიმართეს: იმათ გადაწყვიტეს, რათაც არ დაუჯდებოდათ, თფილისის არსენალის ხელში ჩაგდება. საქმე ის არის, რომ დღემდის ამ არსენალს იცავდა ბოლშევიკური კომანდა. მენშევიკებს და ესერებს კარგა ხანია ძილს უფრთხობდა ეს გარემოება, მაგრამ აქ ისინი უძლური იყვენ ახლა იმათ ისარგებლეს ეგრეთ წოდებული „წითელი გვარდიით“, რომელსაც მიაშველეს დატყუილებით იუნკრები და ქართული პოლკის ერთი ნაწილი, 29 ნოემბერს ეს ძალები თავს დაესხენ არსენალს და მოინდომეს არსებული ყარაულის ძალით გაძევება და არსენალის ხელში ჩაგდება. სისხლის ღვრა აუცილებელი შეიქნა. მენშევიკების საწადელი, რომ ამ სისხლის ღვრის პასუხისმგებლობა ბოლშევიკებს მოახვიონ თავზე, თითქო განხორციელდა კიდეც რუსი-სალდათები ერთი მხრით, და ქართველი ჯარისკაცები და მილიციანერები მეორე მხრით ერთმანეთს უნდა შებრძოლდენ. ჩვენ ვიცოდით, თუ რას ნიშნავდა ეს. ამიტომ მთელი ჩვენი ორგანიზაცია, ყველა ჩვენი ძალები აამოძრავეთ, რომ სისხლის ღვრა ძმათა შორის თავიდან აგვეცილებია. ჩვენმა მეცადინეობამ გასჭრა, რამდენიმეთ მაინც: 29 ნოემბერს ღამის 12 საათზე შეთანხმება მოხდა: მეორე დღის დილამდე არც ერთ მხარეს არავითარი მოქმედება არ უნდა დაეწყო და ელოდნათ, სანამ შემათანხმებელი კომისია შესდგებოდა. მაგრამ მენშევიკებმა არ შეასრულეს ხელშეკრულობა, ვერაგულათ დაეცენ არსენალის ყარაულს და არსენალის ნაწილი ხელში ჩაიგდეს. რა თქმა უნდა ამან გამოიწვია სისხლის ღვრა, რომლის პასუხისმგებლობა სავსებით მენშევიკებს აწყდებათ თავზე. ამაში გამოიხატა იმათი პროვოკაცია, ამიტომ იმათ სამართლიანათ დაიმსახურეს ნამდვილ პროვოკატორების სახელი.

ამავე დროს იწყეს ჩვენი ამხანაგების დატყვევება, ხიკლეს და დაკეტეს ჩვენი გაზეთების („კავკ. რაბოჩი“, „ბრძოლა“ და „ბანვორი კრივი“) რედაქციები, სტამბებში დაშალეს აწყობილი მასალა და სხვ. ერთი სიტყვით მოიქცენ ისე, როგორც იქცეოდენ 3—5 ივლისის დღეებში პეტროგრადში კაზაკები, იუნკრები და სხვა ბნელი ძალები კადეტების მეთაურობით. ამით ჩვენმა მენშევიკებმა დაამტკიცეს თავის მსგავსება ნამდვილ აშკარა კონტრ-რევოლიუციონერებთან, დაამტკიცეს ის, თუ როგორ შორს დგანან ისინი რევოლიუციონური პროლეტარიატისა და მოწინავე გლეხკაცობისაგან. ამავე დროს თბილისელ მენშევიკებს აქვთ კიდევ იმოდენი გამბედაობა უსაყვედურონ ბოლშევიკებს, რომ ისინი პეტროგრადში და მოსკოვში ხურავენ შავრაზმულათ, ბურჟუაზიულ გაზეთებს, და ისეთ „სოციალისტურ“ გაზეთებსაც, რომლებიც აშკარათ და პირდაპირ იცავენ კონტრ რევოლიუციონურ ბურჟუაზიას.

დღეს ერთი უეჭველია: 29—30 ნოემბრის დღეებში ბოლშევიკებმა შესძლეს სამოქალაქო ომის თავიდან აცილება, რომელსაც ამზადებდენ მენშევიკები და ესერები. დღეს ფიზიკური გამარჯვება იმათ მხარეზეა. მაგრამ ასეთი გამარჯვება დამარცხებაზე უარესია. მორალურათ ჩვენ გავიმარჯვეთ, და ამ მხრით 29—30 ნოემბრის დღეებს ის შედეგი უნდა მოყვეს, რაც 3—5 ივლისის დღეებს მოყვა მთელ რუსეთში. ბურჟუაზიას მენშევიკებთან და ესერებთან ერთათ ივლისის პროვოკაციის საშუალებით უნდოდათ ბოლშევიზმის შემუსვრა და სრულიათ განადგურება, მაგრამ მოხდა სულ წინააღმდეგი. აქ, თფილისში კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის როლი სავსებით იკისრეს მენშევიკებმა, რომ ლებსაც მხარი დაუმშვენეს სოც. რევოლიუციონერებმა და დაშნაკელებმა. ყველა ამ პარტიებმა მჭიდრო კავშირი შეკრეს ერთმანეთ შორის ბოლშევიკების დასაცემათ. განსხვავება თბილისელ მენშევიკებსა და დაშნაკელებს შორის წაიშალა, ორივე ნაციონალისტური პარტიაა, მუშა ხალხთან და გაჭირვებულ გლეხებთან იმათ საერთო არა აქვთ რა. აქამდის ქართველი მენშევიკების შესახებ ეს ნათლათ არ ჩანდა. ეხლა არაა, 29—30 ნოემბრის დღეები ბევრს აუხილავს თვალს, მენშევიკებმა მიახწიეს სულ წინააღმდეგს: იმათი უკანასკნელი ავანტიურა ყველას დაანახვებს, ყველას აუხელს თვალს, თუ რა შვილები ბრძანდებიან, თუ რა იმალება იმათ ფრაზებში, თუ რა შეადგენს იმათ ნამდვილ სულისკვეთებას.

ისინი მიდიან კალედინთან და კარაულოვთან ერთათ; ისინი დაშორდენ რევოლიუციონურ პროლეტარიატს და ჯარს; ისინი გახდენ წმინდა ნაციონალისტური პარტია. იმათ ფიზანომიას ფარდა აეხადა.

ფ. მ.

---

## რევოლიუციონური ძალ-მომრეობა ანუ „ტერორი“.

(გაგრძელება—იხ. „ბრძოლა“ მე № 46).

რა აზრის იყო გიორგი პლეხანოვი.

რა თქმა უნდა, ეს მაშინ იყო, როცა პლეხანოვი რევოლიუციონერათ ითვლებოდა და არა ახლა, როცა იგი ბანკირების დამცველათ გამოდის და კონტრ-მინისტრებს ეხმარება.

თავის ბროშურაში-„დიდი რევოლიუციის ასი წლის თავი“—პლეხანოვი მშვენივრათ გვიამბობს იმაზე, ბურჟუაზია თუ რა მიზეზით „ზოგ რევოლიუცია სახელოვანს უწოდებს, ხოლო სხვებს „ბუნტათ“ თვლის.

დაახლოვებით ასევე ითქმის საბჭოთა მთავრობაზე და პროლეტარიატის პარტიაზედაც. სწორეთ ასევე სიმართლეს შეიცავს ის დასკვნა, რომელიც პლეხანოვი აკეთებს.

„ამნაირათ, სწორედ ის, როგორც ჩანს აუცილებელი იყო დიქტატურა და ისიც დიქტატურა მონტანიარებისა (საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს ყველაზე უფრო მემარცხენე პარტია რევოლიუციონური—მუშების და გლეხების—დემოკრატიის სულის კვეთებისა და მისწრაფებების გამომხატველი) მაგრამ, როცა დიქტატურაზე სიტყვას ჩამოაგდებს, მაშინ ხომ „თავისუფალ, კანონიერ და მოწყობილ“ რესპუბლიკაზე ლაპარაკიც მეტია.“

და მართლაც მოწყალებაზე და შებრალებაზე ლაპარაკი რევოლიუციის დროს კონტრ-რევოლიუციის სამსახურის ნიშნავს.

„კანონიერობის დაცვა“ კიდევ ძველი კანონების და ძველი უკვე დამხობილი მთავრობის განკარგულებათა ძალაში დატოვება, რაც ხალხის ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული. კლასიური მტრების თავისუფლების დამცველობა ხალხის ღალატია და მეტი არაფერი. კარგათ უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს ჩვენ „დიდი ბუნტის“ ხანას განვიცდით ბურჟუაზიის წინააღმდეგ. თუ 1917 წლის რევოლიუციის პირველ ხანაში სახელმწიფო ძალა-უფლება ბურჟუაზიას ჩაუვარდა ხელში და მან ეს ძალა-უფლება „ცარიზმის“ დასათრგუნათ გამოიყენა და მის მოსასპობათ რევოლიუციონური ძალმომრეობა ანუ „ტერორი“ იხმარა, ახლა მუშები და სალდათები ხმარობენ თავის მხრით ამ რევოლიუციონურ „ძალმომრეობას“ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. და ყოველი რევოლიუციონერი მხარს უნდა უჭერდეს ასეთ ძალმომრეობას, რამდენათაც ის მიზანს აღწევს. პროლეტარებმა და სალდათებმა პირველ რევოლიუციონური აღტყინების დროს სულ ერთიანათ მიანგრ-მოანგრიეს და გაანადგურეს ჟანდარმთა სამართველოები და „ფარაონების“ ბუნაგები.

ახლა კი მათ მთელი თავისი მრისხანება ბურჟუაზიის კონტრ-რევოლიუციონური შტაბების წინააღმდეგ უნდა მიმართონ: და რამდენათაც კაპიტალი უფრო ძალუმათ და დაჟინებით გაუმკლავდება მათ, მით უფრო სასტიკი და შეუწყნარებელი უნდა იყოს მუშების და გლეხების დიქტატურა.

სასარგებლო იქნებოდა, რომ ბურჟუაზიულ რევოლიუციონერებს ჩვენ ამ ჟამათ მოვაგონოთ მათი მოკავშირის, გიორგი პლეხანოვის შემდეგი სიტყვები:

გონივრული იქნებოდა მათი ქცევა, თუ ისინი პირველი რევოლიუციის დროის შეთქმულ მონარქისტებს არ მიბაძავენ. A la guerr comme a la guerr (ომი „თუა, ომი იყოს“), სამართლიანათ ამბობს ანდაზა და გაცეცხლებულ ბრძოლაში შეთქმულებს შეიძლება ცუდი დღე დაადგეთ ხოლმე“.

გახსოვდეთ კარგათ ეს სიტყვები, ბატონო, შეთქმულნო!

„ცნობილია-სწერდა პლეხანოვი-რომ, როცა ხალხი ისტორიულ ასპარეზზე გამოდის და თავისი ძალ ღონის და გაგების დაგვარათ თავის ქვეყნის ბედ-იღბლის გადაჭრას იწყებს, მაღალი კლასები (ამ ხანათ ბურჟუაზია) თავს ძალიან უხერხულათ გრძნობენ. ხალხი ყოველთვის „უხეშია“ და „გაუთლელი“ და როცა იგი რევოლიუციონური სულით არის გაჟღენთილი, მაშინ იგი კაცნიეროც ხდება.

და აი სწორეთ ხალხის ამ „გაუთლელობას“ და „კაცნიერებას“ თვლიან ბურჟუაზიისადმი მის დანაშაულობათ. ამ ბურჟუაზიულ თვალსაზრისს ძველი პლეხანოვი, რევოლიუციონერი პლეხანოვი, სასაცილოთ იგდებს, და ერთი ბურჟუაზიული პროფესორის მსჯელობის გამო მწარეთ შენიშნავს:

„ჩანს ხალხის წინააღმდეგობას და ამხედრებას ამჟამათ არც აზრი, არც საფუძველი არც მნიშვნელობა არა აქვს. მისი აზრით (ხსენებული პროფესორის) ხალხის ასეთ აჯანყებას მხოლოთ „სახელოვან რევოლიუციის“ დროს ექნებოდა ადგილი. ახლა კი გვესმის: „ჩამოაგდეთ მეფე ტახტიდან, ბოლო მოუღეთ დიდკაცობას“ ბურჟუაზიის გასაპატიოსნებლათ და აწი „დაწყნარდით“, კრინტი არ დაძრათ, ვინაიდან ამ ქვეყნიური რაც კი შესაძლო იყო, ყველაფერი განხორციელებულია. ვინც იფიქრებს ამის შემდეგ ბრძოლა საცოდავ ბრბოისა, რომ აჯანყება და ამხედრება ისევ საჭიროა!“

ეს სიტყვები პირდაპირ სახეში სცემს ახლანდელ პლეხანოვს და ბურჟუაზიის ყველა დამცველთ. მემარჯვენე ესერები, მენშევიკები და ყოველი ბურჟუა—ყველა ეს ხალხი ისე მსჯელობს, როგორც მათი ფრანგი კოლეგა: „ჩამოვაგდეთ მეფე ტახტიდან, ბოლო მოუღეთ „დიდკაცობას“, აწი დავსხდეთ და არხეინათ ვიყოთ, დავწყნარდეთო“, მოძრაობის ყოველგვარი შემდეგი მსვლელობა არამზადათა და ოხრების ბრბოთა მოძრაობათ უნდა ჩაითვალოს. ეს ვითომ რევოლიუცია კი აღარ იქნება, არამედ „ბუნტი“ ანუ „ბოლშევიკების“ ამბოხება და სხვა. ეს ბუნტები კონტრ რევოლიუციონურია. „ბურჟუები ამტკიცებენო, ამბობს პლე-

ხანოვი, რომ „დიდი ბუნტები" ყოველთვის საქმეს უფუჭებდენ „სასახელო რევოლიუციებს".

განა სწორეთ სიტყვა სიტყვით ამასვე არ გაიძახიან ჩვენი თანამედროვე ბურჟუები ახლანდელ პლეხანოვთან და ესერებთან ერთათ? სწორეთ ისე, როგორც ერთ დროს საფრანგეთის ბურჟუები? ცხადია, რომ გაიძახიან. მარტის რევოლიუცია მათთვის „სასახელო" იყო, ვინაიდან ნიკოლოზის ადგილი მილიუკოვმა, კერენსკიმ და კონოვალოვმა დაიკავა, ხოლო ოქტომბერში „ბოლშევიკებმა" ჩაიგდეს ძალა—უფლება ხელში და მთელი საქმე სასახელო რევოლიუციის" თავისი „ბუნტით" სულ ერთიანათ გააოხრეს, რადგან გაბედეს და მტაცებელ ბურჟუაზიის უსაზღვრო ბატონობის წინაღმდეგ გამოვიდენ. ასეთია აზრი და შეხედულება ბურჟუაზიული საზოგადოებისა და მისი დამცველ აგენტების, ესერებისა და მენშევიკების.

საინტერესოა იმისი აღნიშვნაც, თუ როგორი მძულვარებით უცქერიან დემოკრატიის უკიდურეს ფრთას, ახლ ნდელ მონტანიარებს დღევანდელი ესერები, რომლებმაც საფრანგეთის დიდი—რევოლიუციის გამყალბებელებს, „დიდ ესულოვან და მამაც ჟირონდელებსაც" კი გადააჭარბეს და ბურჟუაზიასთან ერთათ ქოროს და ცილის წამების ტალახით შესვარეს უკიდურესი რევოლიუციონური პარტიის სახელი. მონტანიარები იმ დროს უსასტიკეს და უსაშინელეს ზომებს მიმართავდენ ხოლმე ხალხის მტრების შესამუსრავათ და ყოველი რევოლიუციონერი მოიწონებდა ამ სასტიკ რეპრესიებს. თვით პლეხანოვიც კი წინათ მშვენივრათ ამბობდა მათი მთავრობის შესახებ:

„მათი (მონტანიარების) მთავრობას სხვა არა გააჩნდა რა გარდა უსაზღვრო ენერგიისა, რომელსაც ცეცხლს უნთებდენ და მხარს უჭერდენ ქვეყნის რევოლიუციონური ელემენტები და გარდა უდიდესი გამბედაობისა, რომ სამშობლოს დასახსნელათ ყოველნაირი ზომა ეხმარა, თუნდაც ეს ზომები [illegible] უკანონო, სასტიკი და ძალდატანებითი ყოფილიყო.

მონტანიარები მიმართავდენ ხოლმე რეკვიზიციას, კონფისკაციას, ნაძალადევ სესხს, ამიგრანტების ძალდატანებით კურსის შეცვლას, ერთი სიტყვით ასეთი ზომებით დაშინებულ შეძლებულ კლასებს იძულებულ ყოფდენ ქვეყნის დასახსნელათ საქმისთვის ხელი გაეწყოთ. ეს ძალდატანებითი ზომები მაშინ სრულიათ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა".

## უკანასკნელი ცნობები.

(გაზ. „სოლდატის პრავდა"-დან.)

უმაღლეს მთავარ სარდლის დეპეშები.

(20 ნოემბერი)

ძალების თავმოყრის საქმე კარგათ მიდის. ჯარის ნაწილები აღფრთოვანებით გვეგებებიან. ცნობები მოდის, რომ ჩვენს ბანაკს სულ ახალ-ახალი ჯარის ნაწილები უერთდებიან.

— სტავკა დავშალეთ, ხვალ ქ. მოგილევისაკენ გავსწევთ და თანამდებობას ჩავიბარებ.

უმაღლეს მთავარ-სარდალი ნ. კრილენკო.

ძლევამოსილი დაშქარი.

ქ. ვიტებსკი. აქ მოვიდა მთავარ-სარდალი კრილენკო პეტროგრადის გარნიზონის ემისრების თანხლებით. ჯარები ყველგან სრულ სოლიდარობას უცხადებენ სახალხო კომისარების საბჭოს და მზათ არიან საბჭოთა მთავრობა იარაღით დაიცვან.

# № 5

### სია კანდიდატების მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში.

დეპო და ვაგონი პარკი.

1. არაქელ ოქუაშვილი.
2. გიორგი ჩხეიძე.
3. იოსებ მაჩულისი.
4. ნოე ლეჟავა.
5. დავით ციმაკურიძე.
6. ნიკიტა ლიამოჩკინი.
7. ივანე ჯეჯელავა.
8. ვასილი ბირიუკოვი.
8. ზოსიმე კალანდია.
10. ვასო ლელაშვილი.
11. ივანე ჩიპურკინი.
12. ალექსი ერაშკინი.
13. იაკობ გალუსტოვი.
14 ალექსანდრე ჩოჩიევი.
15 პანტელეიმონ პონომარენკო.
16. მიხეილ დიაკონოვი.
17. ნიკო ბიბილური.
18 მიხეილ პაპუნაშვილი.

ამხანაგებო ხმა მიეცით ერთათ-ერთ მუშების ინტერესების დამცველს ბოლშევიკების სიას № 5.

სამოქალაქო ქორწინება.

შესდგა დეკრეტის პროექტი სამოქალაქო ქორწინებაზე. რუსეთის რესპუბლიკა ამიერიდან მხოლოდ სამოქალაქო ქორწინებას ცნობს. წესდების პროექტი 14 მუხლისგან შესდგება და გამოქვეყნებულია გაზ. პრავდაში".

## „ერთობილების" პოლიტიკა.

„ერთობილები" ტრაბახა ხალხია მერე. № 202-ში ტრაბახსაც გადააჭარბეს. ადგილ მოწინავე წერილი სათაურით: „დროებითი შერიგება". წერილის ავტორი ცდილობს, რომ ოსმალეთის მთავარ-სარდლის წინადადება შერიგებაზე მიაწეროს ეგრედ წოდებულ კავკასიის დროებით მთავრობას ანუ კომისარიატს, იმ კომისარიატს, რომელიც თავის შემადგენლობით ნაციონალურ-შოვინისტურია.

ავილოთ თავიდან მოყოლებული ბოლომდის კავკასიის დროებით მთავრობის ანუ კომისარიატის წევრები და ვუყოთ ანალიზი: პირველი მინისტრი პრეზიდენტი თავმჯდომარე გეგეჭკორი (მენშევიკი აბარონეცი) რომელმაც კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ დარაზმულ პროლეტარიატს ივნისში უტიფრათ შესძახა: შორს თქვენი ჭუჭყიანი ხელები! ჩხენკელი, რაღა თქმა უნდა, პირდაპირ ნაციონალ-მენშევიკი ბრძანდება და თუ კარგათ გავარკვევთ ჩხენკელის პიროვნებას, თამამათ შეიძლება ვუწოდოთ სოციალ-პატრიოტი. მესამე-დონსკოი, გამოხვეული ესერების ქურქში, რომელიც კადეტებში არ გაირჩევა და სხვა წევრებზე რაღა ვილაპარაკოთ. კარჩიკიანი-დაშნაკაკანი, ალექსეევ-მესხიევი-ფედერალისტი, ნერუჩევი მაჯავანი ხელი დონსკოისა, ოგანჯანიანი—კიდევ დაშნაკაკანი, ტერ-გაზარიანი-აბარონეცი მენშევიკი გეგეჭკორის კამპანიისა და მერე მუსულმანების შოვინისტები ხან-ხოისკი, მელიკ ასლანოვი, ჯაფაროვი და ხას მამედოვი. ასეთი პიროვნებისაგან შემდგარ მთავრობაზე მენშევიკ-ინტერნაციონალისტების ორგანო „ერთობა" [illegible] სწერს შემდეგს: „ამ სახით ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ ორგანოების მიერ არჩეულმა დროებითმა მთავრობამ, ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ, კომისარიატმა საშინელ მსოფლიო ომის დაბოლოების გზაზე დემოკრატიული ზავის ჩამოსაგდებლათ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა."

ვეკითხები „ერთობილებს": ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალს რომ პარლამენტიორები არ გამოეგზავნა ჩვენი ჯარის უფროსისთვის, თქვენ და თქვენი ამორჩეული კავკასიის დროებითი მთავრობა გადაადგამდით ფეხს ზავისაკენ? რასაკვირველია, არა.

როცა სახალხო კომისარების დადგენილებით შეუდგნენ გერმანიასთან მოლაპარაკებას და ყველა მეომარ სახელმწიფოებთან ზავზე მოლაპარაკებას, განა თქვენ არ იყავით, რომ გაჰყვიროდით: ბოლშევიკები სეპარატიულ ზავს უმზადებენ რუსეთსო, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, გერმანია რომ არ დათანხმებოდა სახალხო კომისარების წინადადებას ზავზე მოსალაპარაკებლათ, ოსმალეთი, თუ გინდ რომ სანგრებში მთლათ ამოწყვეტოდა ჯარი ყინვით და შიმშილით, ვერ გაბედავდა მოლაპარაკების დაწყებას. თუ დაიწყო, ამას უნდა უმადლოდეთ სახალხო კომისარების დასავლეთის ფრონტზე ზავზე მოლაპარაკების დაწყებას.

იქნებ იფიქროთ, რომ თქვენ შეგეძლოთ ოსმალეთის წინადადება არ მიგეღოთ. ეს თქვენ არ შეგეძლოთ, რადგან თქვენი ბუდე კავკასიაც ისე შემოგაქცევდათ თქვენ ზურგს, როგორც რუსეთი.

ნარკარძველი.

## ჯარის კაცთა წერილები.

ოსმალეთის ფრონტიდან.

ბოლშევიკების გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი" და „ბრძოლა" ფრონტზე არ მოდის. ამბებს ბოლშევიკების მოძრაობის შესახებ ვგებულობთ კონტრ-რევოლიუციონური მენშევიკებისა და ესერების გაზეთებიდან. მივიღეთ ხუთი ნოემბრის გაზეთები მიუხედავათ ალვირ-ახსნილი დემაგოგიისა, აშკარა ცილის წამებისა და ფაქტების დამახინჯებისა, ჭეშმარიტება და სიმართლე მაინც იკვლევა. იზრდება ჯარის კაცთა შორის სიმპატია და თანაგრძნობა ბოლშევიკებისადმი. ჯარის კაცები ხედავენ, რომ მენშევიკები და ესერები ატყუებენ და სიმართლეს უმალავენ. შეშინებული არიან მენშევიკებისა და ესერების მეთაურები. ამ შიშის გავლენით გუშინ შამახათუნის კომიტეტმა დაადგინა და დეპეშით აცნობა კავკასიის ცენტრს, რომ უსათუოთ მოურიგდეს ბოლშევიკებს და შეადგინონ მათთან ერთათ მთავრობა. გუშინ ბოლშევიკების გასრესას ქადაგებდენ, დღეს კი შიშით შერიგებას თხოულობენ. მაგათი ბატონობის დღეები დათვლილია. საჭიროა ლიტერატურა და ნამდვილი ცნობები მოგვაწოდოთ.

ა. დ-შე.

## მუშათა შორის

თბილისის საქონლის სადგურის ბედ-იღბალი მენშევიკ ობორონცების ხელშია და ეს ვაჟბატონებიც არ ღალატობენ თავიანთ პოლიტიკას და მშვენივრად იცავენ მას. თუმცა ერთხელ დაწერილა ამ ვაჟბატონების შესახებ ჩვენი „გაზეთის" ფურცლებზე, მაგრამ, „ურახუნე კედელს და ელაპარაკე რეგვენსო". სწორედ შოვინისტ სოციალისტებზეა გამოჭრილი. ყოველგვარ ხალხის ნდობას და დავალებას ისე „პირნათლად" ასრულებენ, როგორც ეს კერძოდ მათ მოესურვება. სამწუხარო ისაა, რომ ასეთი „საქმიანობის" შემდეგ თუმცა ხალხის უმეტესობა დიდი უკმაყოფილოა, მაგრამ იმას წარმოდგენა არ აქვს რომ, შეიძლება გამოცვლა და მეორეს არჩევა, როცა არჩეული პირები მისთვის სულაც არ ზრუნავენ. ყველაფერის დაწერა ზედმეტია, ამიტომ რომ ყველა მაგათი მოქმედება რომ აწერო ძლიერ შორს წავა და ამიტომ შევეხები ერთ საგულისხმო ამბებს ამ ერთი თვის წინად აქ შესდგა ადგილობრივი მუშათა კრება, რომელზედაც გადაწყდა რომ შეედგინათ რევოლიუციის დამცველი წითელი რაზმი, აირჩიეს სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა, რომ აეწერათ საიმედო პირები და წარედგინათ სადაც ჯერ იყო, რის შემდეგ მოველოდით იარაღს ისევ ამ კომისიების ხელით. მოლოდინი გამართლდა, იარაღი მოიტანეს, მაგრამ სასაცილოა, რომ სამწუხარო არ იყოს კომისიების საქციელი,

ამ ვაჟბატონებმა ი. ბერძენიშვილის მეთაურობით გამოიტანეს თავიანთთვის „მაუზერების და ნაგანის" სისტემის რევოლვერები და მასთან საუკეთესო თოფებიც. მხოლოდ დანარჩენებისთვის მოიტანეს ისეთი თოფები, რომ არა თუ რევოლიუციის დამცველი, არამედ კურდღელზე მონადირეც არ დაიჭერს ხელში ასეთი იარაღი რა თქმა უნდა წაიღო ისეთ პირებმა, რომლებმაც თოფის შესახებ არაფერიც არ იციან ხოლო იმ პირებმა, ვისაც იარაღი არ ქონია და ამასთან ესმის „გვარდიის" მოვალეობა, რა თქმა უნდა არ მიიღეს. ამას გარდა კიდევ სადგურზე ყოფილ ჟანდარმების ნაქონი იარაღები საუკეთესო სისტემისა გამოიტანეს მუშების სახელით ბ. კომიტეტმა, მხოლოდ ეს ამბავი არ ცოდნია გარდა ორიოდე კაცისა და ისე მიითვისეს ორ-ორი და ზოგმა სამიც,—ეს იმ დროს, როდესაც აქ მუშაობს 550 კაცამდე და მათ შორის თუ ჩვენ არა ნახევარი მაინც კი იყო სანდო. ამის შესახებ არაფერიც არ გვეუბნებიათ, დანარჩენ ამხანაგებისათვის

გ. ყაჭიოღლი.

## რუსეთის ქრონიკა.

ფრონტზე დროებითი მორიგება..

გენერალი შჩერბაჩევი ქ. იასსიდან იუწყება შემდეგს: გუშინ 26 ნოემბერს მორიგების ხელშეკრულობაზე ხელი მოაწერა ორივე მხარემ იაკობშანაში; (რუმინიის ფრონტზე) პირობებს დაწვრილებით შემდეგ გაცნობებთ. ამ ჟამად ბრძანებას ვიძლევი, რომ დნესტრიდან დაწყებული ვიდრე დუნაის შესართავამდე ყოველგვარი სამხედრო მოქმედება შეწყდეს.

ოსმალეთის ჯარების მთავარ სარდლის წერილი.

ეს წერილი, რომლის ძალით ამიერ კავკასიის ჯარების მთავარ სარდალმა, პრჟევალსკიმ მორიგებაზე თანხმობა განაცხადა და ოსმალეთთან მოლაპარაკება 23 ნოემბრიდან დაიწყო, მხოლოდ 29 ნოემბერს გამოქვეყნდა. ამ წერილიდან ვტყობილობთ, პრჟევალსკის ოსმალეთის მთავარ-სარდლისათვის მხოლოდ 22 ნოე

მიუმართავს დეპეშით და წინადადება მიუცია ოსმალეთისათვის ზავზე მოლაპარაკების შესახებ, რაზედაც ოსმალეთის მთავარ სარდალი, ვეხიბ მახმედბეი თანხმობით უპასუხებს და თან ატყობინებს, რომ მან შტაბიდანაც ცნობა მიიღო, რომ მას ბრესტ ლიტოვსკში მოლაპარაკება ექვს გამართული მთრიგებაზე რუსეთის უმაღლეს მთავარსარდლის რწმუნებულებთან.

ამიერ კავკასია რუსეთს მოსწყდა.

ეს სამი დღეა, რაც თფილისში არც დეპეშები და არც გაზეთები რუსეთიდან აღარ მოდის. პირველის მიზეზი პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს თბილისის განყოფილების მოსამსახურეთა გაფიცვა-საბოტაჟია.

მეორის-ის გარამეობა, რომ კავკავ-რუსერკინის გზა, როგორც ადგილობრივი ბურჟუაზიულ გაზეთებიდან და ბაქოდან მოსულ დეპეშებიდან ვტყობილობთ კავკასიის აბრაგებმა (ყაჩაღებმა) გააფუჭეს. ქ. პეტროვსკის ახლო მატარებელზე თავდასხმა მოახდინეს. მგზავრები გაძარცვეს, და შემდეგ რამდენიმე ალაგას გზაც გააფუჭეს, რელსები აყარეს. ყველაფერი მწრაფლ გასწორდებოდა, რომ მით კონტრ-რევოლუციონერები და რეაქციონერები არ სარგებლობდენ და ცენტრალურ მთავრობას ხელს არ უშლიდენ გზა აღადგინოს.

# პროვინცია.

ერკეთი (გურია. შვიდი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ამ სოფელში დაასრდა ორ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი ამ ხნის განმავლობაში დაახლოვებით ათჯერ გამოიცვალა სამზრუნველოს ძემადგენლობა, მაგრამ სკოლის საქმეს ვერაფერი ეშველა: მისი მდგომარეობა თანდათან უარესდება და უფსკრულისაკენ მიექანება. უმეტეს შემთხვევაში მთელ სუსხიან ზამთრის განმავლობაში უშეშობის გამო მასწავლებლები იძულებულნი არიან ან შესწყვიტონ სწავლა, ან ამაცადინონ მოწაფები უსუფთაო ცივ-ნესტიან ოთახებში უცეცხლოდ. ერთი სიტყვით, ხსენებული სკოლა უფრო უპატრონო თავშესაფარს წარმოადგენს, ვიდრე სასწავლებელს. აი ასეთ ჯოჯოხეთურ მდგომარეობაში უხდებათ აქაურ მასწავლებლებს და მოწაფეებს მუშაობა. მერე ვინაა აქ დამნაშავე? სამზრუნველოს უმოქმედობა და ხალხის გულგრილობა სკოლისადმი განსაკუთრებით კი ათასნაირი ინტრიგა და პროვოკაცია სხვადასხვა ჯურის უპასუხმგებლო ვაჟბატონებსა, რასაც, სამწუხაროთ, ფართე ასპარეზი აქვს დათმობილი ამ კურთხეულ საზოგადოებაში.

აი ასეთი ორგანიზაციულათ მოწყობილ ავანტიურას ქონდა ადგილი 22 ოქტომბერს ამავე სკოლის დარბაზში, რომელიც იყო მომართული სრულიად უდანაშაულოდ მასწ. გრიგოლ ბაგავას წინააღმდეგ. ამ შეთქმულობას მეთაურობდა და კრებას თავმჯდომარეობდა ადგილ-მენშევიკთა ორგ. ლოცვა-კურთხევით, გურიაში და ბაქოში კარგათ ცნობილი შანტაჟისტ-აფერისტი იაგორ მიშა, დავითის ძე მინდაძე. მას მხარს უმშვენებდა ცნობილი რეაქციონერი, მთავრობის მამასახლისად ნამყოფი, ზაკუსოვ-კალანდიას მონა-მორჩილი იუნკერი თალხან მგალობლიშვილი, სპეკულიანტი—ხარაზი ანდრია ანთიძე და მათი დამქაშები.

სხვათა შორის, როდესაც მასწავლებელ როგავამ მოითხოვა კრებაზე ბრალდების წამოყენება და დამტკიცება, ბ. მინდაძემ განაცხადა, რომ მას ზედმეტად მიაჩნია ბრალდებაზე მსჯელობა და ლაპარაკი- ეს თავისთავად დამტკიცებულიაო. შემდეგ როდესაც პირველმა პროტესტი განაცხადა თავმჯდომარის ასეთი უზურპაციის წინააღმდეგ და კატეგორიულად მოითხოვა გასამართლება, უკანასკნელმა მას სიტყვა წაართვა და კრებას რიხიანად გამოუცხადა, რომ მასწავლებელი არ არის სკოლის წევრი და იმიტომ როგავას, როგორც ასეთს, სიტყვის უფლებას არ ვაძლევო. მიუხედავათ ამხ. ბოლშევიკების ენერგიულ პროტესტებისა, ბ. მინდაძემ და მისმა დამქაშებმა მაინც თავისი გაიტანეს: არცკი წამოუყენებიათ ბრალდება, ისე დაითხოვეს მასწ. როგავა ფეხქვეშ გათელეს კრებისა და სიტყვის თავისუფლება, ფეხქვეშ გათელეს უდანაშაულო პიროვნება.

ამ შემთხვევაში საინტერესოა აქაურ მენშევიკების პოზიცია: ასარჩევი იყო სკოლის საბჭო: პირველ კანდიდატათ მენშევიკების ორგანიზაციამ წააყენა გაიძვერა მინდაძე, რომელიც მიესალმა კრებას ხსენებულ ორგანიზაციის სახელით და გააცნო მას კანდიდატთა სია. პირველად კრების თავმჯდომარედ ხმის უმეტესობით გავიდა ერ. ჩანტლაძე, მაგრამ ბოლოს მენშევიკ ანდრია ანთაძის და მისი ამყოლ დამყოლების დახმარებით და ლოცვა—კურთხევით თავმჯდომარის სავარძელზედ წამოსკუპდა ავანტიურისტი მინდაძე. თუმცა აქაური მენშევიკები გარდა ნაწილისა ოფიციალურად არ გამოსულა, მაგრამ პასიურად ყველა მხარს უჭერდა მინდაძეს. ზოგიერთი მათგანი გაიძახოდა: „გავაგდოთ აქედან მაგი შეურიგებელი და მოუსვენარი ფრაქციონერი ბოლშევიკიო,“ ზოგ ბოლშევიკებს არ უნდა ქონდეს ადგილი კულტურულ დაწესებულებაში და სხვა... აღნიშნულ მასწავლებლის ბედი ეწვია ამხ. ტარასი მგალობლიშვილსაც, რომელიც მსახურობდა ნოქრად ადგილობრივ კოოპერატივში და რომელიც უდანაშაულოდ დაითხოვეს

ასე რომ. თუ დაუკვირდებოდა ადამიანი კრების მსვლელობას, შეამჩნევდა, რომ შეთქმულთა რაზმს ხელმძღვანელობდა მაგარი ორგანიზაცია, რკინის დისციპლინით შეკავშირებული. მგონია რომ ადგილობრივი მენშევიკები „ეშმაკსაც“ კი შეუთანხმდენ ბალშევიკების დასამარცხებლათ, ყველა ამის შემდეგ ბ. ანდრია ანთიძე, ეს ერკეთში კარგათ ცნობილი სპეკულიანტი ხარაზი, რომელმაც ისარგებლა ამ ომიაბობით, ისარგებლა ხარაზების ჯარში გაწვევით, ტყავი გააძრო საწყალ სოფლის გლეხობას და ზედმეტ მოსაგებით თ. ვ. ერისთავის მამული შეიძინა, რამდენიმე ათას მანეთად ღირებული, რომელსაც ომის დაწყებამდიხ შიმშილისგან სული ძვრებოდა და დღეს კი ათასობით ითვილის ხალხის ზურგზედ ანაფცქვენ ფულებს, რომელიც ითვლება კოოპერატივის სახარაზოს სასტიკ მოწინააღმდეგეთ და მის მოსიხლე კონკურენტათ, რომელიც სიტყვით მენშევიკ-ესდეკია და მუშების ინტერესებს იცავს, საქმით კი ტყავს აძრობს მათ: გათენებიდან ღამის 12 ს. ამუშავებს ქარგალთ უსუფთაო ცივ-ნესტიან სარდაფებში შრომის ქირის კი7 ნ-90კ. აძლევს დღიურათ. აი ეს ვაჟბატონი. შურის ძიებით გამსჭვალული, დღეს გამომდგარა გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ № 175 „ერკეთისელის სევდონომით და უტიფრათ, სინდის გარეცხილათ და სწერს:„ ამავე სკოლაში ყოფ-ი მ ნწავლებელი გრიგოლ როგავა დაითხოვეს დიდი მსჯელობის შემდეგ, როგორც გამოუსადეგარი მასწავლებელი სკოლისთვის.„ ბ. ერკეთისელო! ერთი გვიბრძანეთ, რამდენი ხანია ეს თქვენდგან ათვალისწინებული მასწავლებელი გამოუსადეგარი გახდა? მას შემდეგ, რაც თქვენ მიერ გზა კვალ დაბნეულ, პოლიტიკურად გაკოტრებულ ობორონცულ ორგანიზაციას გამოეყო, არა? მას შემდეგ რაც ეს მასწავლებელი გიკიჟინებდა სპეკულიანტობას, აშკარათ, მოურიდებლათ პირში გეუბნებოდა, რომ პირდაპირ დანაშალობაა: სპეკულიანტი სოციალ-დემოკრატის წმინდათა წმინდა სახელს ატარებდესო? დიახ, ბ.ცრუ კორესპოდენტო! ყველაეს მას შემდეგ მოხდა- თქვენ, როგორცპირადი ან გარეობით გაქლენთილმა, ბლოკი შეკარით გაიძვერა იაგორ მინდაძესთან თქვენი პირადი და იდეიური მოწინააღმდეგე მასწავლებლის წინააღდეგ, იმ მინდაძესთან, რომელიც შავბნელ რეაქციის დროს მამასახლისათ იყო და კრილოვის მარჯვენა ხელად ითვლებოდა, ათასნაირ ქრთამებს და კონტრიბუციას ახდევინებდა ერკ ეთის საზოგადოებას, იმ მინდაძესთან, რომელმაც ტყავი გააძრო ბაქოს მუშებს და რომლის წინააღმდეგ მასწ. როგავა სასტიკათ ილაშქრებოდა და საყოველთაოდ ამჟღავნებდა მის შავბნელ წარსულს და გაიძვერობას საზოგადოების წინაშე. განა თქვენ არ ბძანდებით ის ერკეთისელი! რომელსაც ხალხმა მოგანდო ამ სკოლის მზრუნველობა, მაგრამ ორი წლის განმაბაში იოტის ოდენა არაფერი გაგიკეთებიათ მის საკეთილღეოთ და ამას შედეგ თვით ხალხმა მოგიშორათ? განა თქვენ არ ბრძანდებით ს პიროვნება, რომლის წინაშე ამ სკოლის მასწავლებლები, სიცივისაგან აკანკალებული, იდგნენ და შეგჩიოდათ: ყინვა და თოვლია, შეშა არ გვაქვს, მოწაფეებითურთ სიცივისაგან ვიხოცებით, როგორც მზრუნველი შედით სკოლის მდგომარეობაში-მიიღეთ შესაფერი ზომები და თქვენ კი ირონიულად დასცინოდით ამ „საცოდავ მასწავლებლებს, კერძო საქმეებს არ შორდებოდით. და აბუჩად იგდებდეთ ას მასწავლებლების კანონიერ მოთხოვნილებებს? აქ მასწავლებელის უვარგისობას არავითარი ადგილი არ ქონია, რაც დაამტკიცა ჩოხატაურის ფილიალურ განყოფილების მიუდგომელმა რევიზია და თუ კი ქონდა ასეთებს ადგილი, ნუ თუ თქვე- დემოკრატიის ინტერესების სწორუპოვარმა დამცველმა ამ შვიდი წლის განმავლობაში. ვერ მოიცალეთ საზოგადო ინტერესების დასაცავად და ვერ გააგდეთ ეს „გამოუსადეგარი“ მასწავლებელი? საერთოდ როგავა 13 წელია მასწავლებლათ მსახურობს, ერკეთში კი-7 წელიწადია და შეძლების დაგვარად პატიოსნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, რასაც ამტკიცებს სხვა და სხვა დროის გაკეთებული რევიზიები.

ყველა ამის შემდეგ თქვენ, საბრალო ადამიანო, განა უფლება გაქვთ ლაპარაკოთ და წეროთ გაზეთებში ინსინუაციით გაჟღენთილ წერილები სკოლისა და მასწავლების შესახებ? თქვენ თითხნეთ რამდენც გინდათ ცრუ კორესპოდენციები მე ამიერიდან პასუხს არ გაგცემთ, ზნეობრივათ დაცემულ ადამიანთან კამათი ზედმეტათ მიმაჩნია. ეს არის ჩემი პირველი და უკანასკნელი პასუხი.

გრიშა მეგრელი.

—.—

ს. ერკეთი (გურია). 20 ნოემბერს იქმნა წარდგენილი და ჩოხატაურის საარჩიონო კამისიასთან ჩვენი საზოგადოების ოთხივე უბნის ხმები ერთად, რომელიც იქმნა წესზედ შერდგენილი. არჩევნების წესი მშვენიერად ჩატარდა, რაც თვით ბუნებამაც ხელი შეუწყო რადგა მშვენიერი ამინდებით ჩატარდა ამასთან როგორც მთელ გურიაშიდ აქაც მენშევიკური ჰაერით იყო დღემდე მოწამლული ხალხი. მაგრამ ენერგიულმა მუშაობამ განსაკუთრებით ერკეთის საარჩევნო უბანში მოლოდინს გადააჭარბა, რომელიც კანვერტების გახსნისას, აღმოჩნდა 163 ხმა № 5. ამასთან ციხის საარჩევნო უბნიდგან. 6. ქვაბლიდგან. 3. და სევიდგან კი. 1. ესე იგი სულ მთელი ერკეთის საზოგადოებაში. 173 ხმა გვერგო. ეს იმისი ბრალია, რომ რადგან ორგანიზაცია მხოლოდ შუბან- ერკეთში არის მოწყობილი და სხვა სოფელში სამუშაო ძალები არ გვყავდა და ამით კი ისარგებლეს მენშევიკებმა. მაგრამ ნაპერწკლები უკვე არის გადასროლილი რომლის წყალობითძლიერი ცეცხლი შეიქნება შემდეგისათვის და გააშრობს მენშევიზმის ჰაობს.

ძველი ბალშევიკი.

პირველი ნოემბრიდან გაზეთი

ბრძოლა

გამოდის ყოველდღიურათ.

გაზეთის ფასი: წლის დამლევამდე ღირს 4 მ.
ერთი თვით „ 2 მ.
ცალკე ნომერი „ — 10 კ.
მეგაზეთეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის“ და „კავკ. რაბოჩის“ კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.
2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთხივე რაიონის ბიუროში.
3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი“ ძველი სემენარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი. განოვის ქ. № 8.

ამხანაგებო! ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას“: მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.

ელექტრო-მბეჭდავი სტა[illegible]ართლი“, ლორის-მელიქოვის ქუჩა.